



## მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 25 მაისი, 2016 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ოლეგ შატბერაშვილი - ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
2. ლია თოდუა - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
3. თენგიზ სვანიძე - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაი“
4. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
5. მანანა წულაია - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
6. რუსუდან სიმონიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრები-საქართველო
7. ნინო ელიზბარაშვილი - საქართველოს ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
8. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
9. გივი ქოჩორაძე - კვლევების ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი
10. ლელა ბერძული - ევროპის ფონდი
11. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
12. გიორგი კაჭარავა - ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო

## განსახილველი საკითხები:

- ინფორმაცია ევროკავშირ-საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის პირველი შეხვედრასთან დაკავშირებულ საკითხებზე (მ.შ. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმის მიერ არჩეული წევრების პლატფორმასთან უკუკავშირის მექანიზმების შესახებ) - კახა გოგოლაშვილი
- ინფორმაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მეორე სამუშაო ჯგუფის საბჭოს შეხვედრის თაობაზე - ნინო ელიზბარაშვილი
- მოსაზრებები მეცნიერების განვითარების პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით - ოლეგ შატბერაშვილი
- მცირე მეწარმეობის ქვეჯგუფის ჩამოყალიბების ინიციატივის განხილვა - თამაზ ვაშაკიძე
- ინფორმაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ფარგლებში 2016 წლის გამოცხადებული კონკურსთან დაკავშირებით ინფორმაციის გავრცელების ნაკლოვანებების თაობაზე - ლია თოდუა
- სხვა საკითხები

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნეს ჯგუფის კოორდინატორებმა და დამსწრეებს გააცნეს შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად, ჯგუფმა მოისმინა პლატფორმის თავმჯდომარის მოხსენება ევროკავშირ-საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის ქართული მხარის წარმომადგენელთა პირველი შეხვედრის შედეგების შესახებ. როგორც ბატონმა კახამ აღნიშნა, ახალი პლატფორმა არის კარგი შესაძლებლობა, რომ ევროპელებთან ერთად მოხდეს იმ საკითხების ლობირება, რომლებიც ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე პრინციპულად მნიშვნელოვანია. მოხსენებაში მან ყურადღება გაამახვილა პლატფორმის სტრუქტურაზე და ხაზი გაუსვა, რომ მნიშვნელოვანია ქართული მხარე წარმოდგენილი იყოს 18 დელეგატით, რაც 2016 წლის ყოველწლიურ კრებაზე პლატფორმამ უკვე დაამტკიცა. ბატონმა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შეხვედრაზე მოხდა შეთანხმება შემდეგ საკითხებზე:

- 16 ივნისს, ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის წარმომადგენლებთან ჩანიშნული შეხვედრისთვის ქართულ-ევროპული პლატფორმის თითოეული დელეგატი (18 ექსპერტი) მოამზადებს მოკლე მოხსენებასა და რეკომენდაციას საკუთარი ექსპერტიზის დარგში. ამასთანავე, გაივლის კონსულტაციას საქართველოს ეროვნული პლატფორმის შესაბამის ჯგუფთან.
- ჩანიშნოს დამატებითი მოსამზადებელი შეხვედრა, რათა მოხდეს შემუშავებული რეკომენდაციების შეჯერება.
- ქართულ-ევროპული პლატფორმის პირველ სხდომაზე ასევე უნდა მიიღონ პლატფორმის შემდგომი მუშაობის განაწესი. დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ დამატებით შეხვედრაზე განიხილონ განაწესის სამუშაო ვერსია, რომელსაც ევროპული მხარე მიაწვდის.
- ასევე, შეირჩეს ევროკავშირ-საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის თანათავმჯდომარე.

ევროკავშირი - საქართველოს ბიზნესსაბჭოს წარმომადგენელმა, ბატონმა გიორგი კაჭარავამ შესთავაზა ჯგუფის კოორდინატორებს შეაჯერონ ჯგუფში კონკრეტული საკითხის გარშემო საკუთარი წინადადებები, რომლებსაც თავის მხრივ ბიზნესსაბჭო გაითვალისწინებს რეკომენდაციების წარდგენისას.

შეხვედრაზე ჯგუფი შეთანხმდა პლატფორმის სამუშაო Google ჯგუფებში დაიგზავნოს ინფორმაცია ქართულ-ევროპული პლატფორმის შეხვედრის შესახებ და ეთხოვოს ჯგუფს წარადგინონ საკუთარი კომპენტენციის ფარგლებში რეკომენდაციები ასოცირების შეთანხმების ამა თუ იმ დებულების შესრულების შესახებ.

ჯგუფის წევრები, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ქართულ-ევროპულ პლატფორმაში თავის მხრივ გაითვალისწინებენ თავიანთ მოხსენებაში მიღებულ რეკომენდაციებს.

ჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა ლიამ დამსწრეებს შეახსენა, რომ მეორე სამუშაო ჯგუფიდან ევროკავშირ-საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის წევრი ორგანიზაციები არიან:

- ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა"
- საქართველოს ასოციაცია "ქალი და ბიზნესი"
- ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
- საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
- ევროკავშირ-საქართველოს ბიზნეს საბჭო

შეხვედრის შემდეგ ეტაპზე, საქართველოს ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“-ს წარმომადგენელმა, დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის შესახებ. როგორც ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, შეხვედრაზე განიხილეს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მიმდინარე პროცესები და მეორე სამუშაო ჯგუფების მიერ განხორციელებული აქტივობები. ასევე, დასახეს სამომავლო გეგმები.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ევროპის აღმოსავლეთ სამეზობლოს რეგიონული პროგრამების გენერალური დირექტორიატის წარმომადგენლის ქალბატონი მონიკა ბუკურენჩიუს (Monica Bucurenciu) პრეზენტაციაზე, რომელიც გათვალისწინებული იყო ჯგუფის შეხვედრის დღის წესრიგში. ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, რომ გენერალური დირექტორიატის წარმომადგენელმა ისაუბრა სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში და ხაზი გაუსვა რომ 2017 წლის იანვრიდან დაიწყება პროექტი სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისთვის, რომლის ფარგლებშიც გამოიყოფა 4 მლნ 260 ათასი ევრო. აღნიშნული გრანტები გათვალისწინებული იქნება საერთაშორისო, პარტნიორული საგრანტო განაცხადებისთვის.

ქალბატონმა ნინომ ასევე აღნიშნა, რომ 2016 წლის დეკემბერში გამოცხადდება აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების მორიგი რეგრანტინგი და ჯგუფის წევრებს აქტიურობისა და თანამშრომლობისკენ მოუწოდა.

თავის მხრივ, დამსწრე საზოგადოებამ მადლობა გადაუხადა ქალბატონ ნინოს ინფორმაციული მოხსენებისთვის. ჯგუფმა ერთხმად აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მისი გამოცდილება გამოიყენონ პლატფორმის გაძლიერებისთვის და პლატფორმის თავმჯდომარის

ინიციატივით, ჯგუფმა ქალბატონ ნინოს შესთავაზა კოორდინაცია გაუწიოს მსგავს საკითხებს და ჯგუფს მიაწოდოს ინფორმაცია გრანტების შესახებ.

შემდეგ საკითხად, პლატფორმის თავმჯდომარემ ისაუბრა 2016 წლის 28-30 ნოემბერს, ბრიუსელში დაგეგმილი აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის, რიგით მე-8 ყოველწლიური შეხვედრის მონაწილეთა შერჩევის პროცესის შესახებ და მოკლედ მიმოიხილა პროცედურები, რის მიხედვითაც ხდება გადაწყვეტილების მიღება.

„ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის“ წარმომადგენელმა ბატონმა ოლეგმატბერაშვილმა წარადგინა მცირე პრეზენტაცია მეცნიერების განვითარების პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ კი ამ სფეროში მიმდინარე რეფორმების მიმდინარეობაზე და მათ სუსტ კავშირზე ევროპულ ინტეგრაციასთან. ბატონი ოლეგის მოსაზრებით, მოახლოებული არჩევნებისა და იმის გათვალისწინებით, რომ პლატფორმამ უკვე დაიწყო მინისტრებთან შეხვედრები, რომლებიც ამავე დროს მმართველი პარტიის წარმომადგენლები არიან, მიზანშეწონილია, დანარჩენ საარჩევნო სუბიექტებთან შეხვედრის ორგანიზებაც.

შეხვედრის მიზანი უნდა იყოს საზოგადოებრივ სექტორში ჩამოყალიბებული ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ ხედვის საარჩევნო სუბიექტებისთვის წარდგენა და აღნიშნული საკითხის შესახებ მათი აზრის მოსმენა.

ბატონმა ოლეგმა ჯგუფის კოორდინატორს გადასცა შეხვედრის სავარაუდო თემატიკა/სახელწოდების რამდენიმე ვარიანტიც:

- 2016 წლის არჩევნები და ევროინტეგრაცია: სამოქალაქო სექტორის ხედვა (საარჩევნო სუბიექტების შეხვედრა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნულ პლატფორმასთან)
- ევროინტეგრაცია - რით ხვდებიან პოლიტიკური პარტიები საპარლამენტო არჩევნებს (საარჩევნო სუბიექტების შეხვედრა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნულ პლატფორმასთან)
- ევროინტეგრაცია - თანხმობის სივრცე საპარლამენტო არჩევნებში;
- ევროინტეგრაცია - საარჩევნო სუბიექტების თანხმობის სფერო.

პლატფორმის თავმჯდომარემ ჯგუფის წევრებს შეახსენა სექტემბერში დაგეგმილი კონფერენციის შესახებ და შესთავაზა კონფერენციის ერთი პანელი მიეძღვნას შემოთავაზებულ შეხვედრას საარჩევნო სუბიექტებთან.“

დროის სიმცირის გამო, საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრის წარმომადგენლის, ბატონი თამაზ ვაშაკიძის ინიციატივის - მცირე მეწარმეობის ქვეჯგუფის ჩამოყალიბების შესახებ - განხილვა გადაიდო შემდეგი შეხვედრისთვის.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.